ხელშეკრულება # 452
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი 31 ივლისი 2013 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში „შემსყიდველი“), გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძის სახით და შპს აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი (შემდგომში „მიმწოდებელი“), დირექტორის ანგელინა ორჯონიკიძის სახით, ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის N92 დადგენილებით დამტკიცებული ეპიდზედამხედველობის პროგრამის (დანართი N3) მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის კომპონენტის კვლევებისათვის (სიფილისი - 100კვლევა, გონორეა - 16 კვლევა) საჭირო მასალის აღება/შეგროვება თანდართული დანართისა და ინსტრუქციის შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (CPV 85100000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 348 (სამასორმოცდარვა) ლარს (ერთი კვლევის ღირებულებაა 3 (სამი) ლარი), მ.შ. თვეში ასანაზღაურებელი თანხის ლიმიტი 174 (ასსამოცდათოთხმეტი) ლარს.

3.2 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, არაუმეტეს 10%-ისა.

4. ხელშეკრულების საფუძველი

4.1 "2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი.

4.2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე–3 პუნქტის,,დ'' ქვეპუნქტი.

4.3 „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის #92 დადგენილება. (შემდგომში – „დადგენილება“)

4.4 „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება.

4.5 „საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის #482 დადგენილება „იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2012 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2013 წლის შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე და ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ამოქმედებამდე“ (შემდგომში„დადგენილება“)

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 შესყიდვის ობიექტის (გაწეული მომსახურების) ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებით განსაზღვრულ და ხელშეკრულებაში (მ.შ. თანდართული ინსტრუქციით) გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები

6.1 „მომსახურების“ გაწევის ვადაა - 2013 წლის 1 ივნისიდან 31 ივლისის ჩათვლით.

6.2 მომსახურების მიწოდება უნდა დაიწყოს „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისათვის“ შესაბამისი ტესტ-სისტემებისა და სახარჯი მასალების მიწოდებისთანავე.

6.3. მომსახურების გაწევის ადგილი შპს აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი (ქ.ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. 83ა).

6.4 საკვლევი ნიმუშის აღების თაობაზე შეტყობინების მიწოდების ადგილი - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. N9).

6.5 გაწეულ მომსახურებაზე ინფორმაციის მიწოდების ადგილი - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. N9).

7. ანგარიშსწორების წესი და ფორმა

7.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.3 ანაზღაურება განხორციელდება ხელშეკრულების ფარგლებში ფაქტიურად გაწეული მომსახურების და ერთეულის ფასის მიხედვით.
7.4 ანაზღაურება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ „დადგენილებით" განსაზღვრული წესის შესაბამისად.
7.5 „მიმწოდებელი" ყოველთვიურად წარმოადგენს ანგარიშს ნაბეჭდი და ელექტრონული (Sylfaen) სახით მის მიერ საანგარიშო თვეში გაწეული „მომსახურების" შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით, განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული საანგარიშგებო ფორმებით.
7.6 „მიმწოდებელი" კვარტალურად წარმოადგენს სრულ წერილობით ინფორმაციას „მომსახურების" მიმდინარეობის და მიღებული შედეგების შესახებ.
7.7 „მიმწოდებელი" სრულად აგებს პასუხს მის მიერ მიწოდებული ანგარიშების უტყუარობაზე. „მიმწოდებელი" ადგილზე ინახავს ანგარიშებს და პირველად დოკუმენტაციას დადგენილი წესის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში გაცნობისათვის პირველივე მოთხოვნისთანავე წარუდგენს „შემსყიდველს".
7.8 არასწორად, არასრულად ან არაკორექტულად წარმოდგენილი ანგარიშსწორების ფორმა უბრუნდება „მიმწოდებელს" მის საბოლოო შესწორებამდე, ამასთან შედეგებზე იგი პერსონალურად აგებს პასუხს.
7.9 „შემსყიდველისა" და „მიმწოდებელს" შორის მომსახურეობის შესრულებაზე ყოველთვიურად განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:
8.1.1. აცნობოს „მიმწოდებელს" ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.
8.1.2. მიაწოდოს „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევისათვის საჭირო ტესტ-სისტემები და სახარჯი მასალა.
8.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია:
8.2.1 მიაწოდოს „შემსყიდველს" „მომსახურება", რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით „შემსყიდველის" დაკვეთას.
8.2.2 აცნობოს „შემსყიდველს" ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც პირდაპირ ან ირიბად ეხება ხელშეკრულებას.
8.2.3 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.
8.2.4 „შემსყიდველის" მიერ მიწოდებული, „მიმწოდებლის" მიერ გამოუყენებელი ტესტ–სისტემებისა და სახარჯი მასალა მომსახურების გაწევის ვადის გასვლის შემდეგ დაბრუნებული უნდა იქნას „შემსყიდველისათვის".
8.3 „შემსყიდველი" უფლებამოსილია:
8.3.1 მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების ყველა პუქნტის უცილობელი შესრულება.
8.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგენა დაუძლეველი ძალა.
8.3.3 არ სცნოს „მიმწოდებლის" არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.
8.4 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
8.4.1 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან" მის მიერ მიწოდებული „მომსახურების" ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით.
8.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის" მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების" მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.
8.4.3 აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან" სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.
8.4.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.
8.4.5 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან" რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

9. დაუძლეველი ძალის მოქმედება

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ
გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან
„მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შიეძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით. რომელსაც ცნობენ მხარეები.
9.3. დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი

ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

9.4. დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

10.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 1 ივნისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით.

10.3. ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

11. განსაკუთრებული შენიშვნები

11.1 ხელშეკრულება დგება ქართულად, სამ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან".

11.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.3 წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

11.4. მხარეთა ურთიერთობები გარდა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა რეგულირდება, ასევე „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის #92 დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა
კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი"
მ.ასათიანის ქ. #9
საიდენტიფიკაციო კოდი 211324351
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა
კოდი TRESGE22
ანგარიშის # GE24NB0330110020016502 2
გენერალური დირექტორი:

_____ ამირან გამყრელიძე

ბ.ს.

„მიმწოდებელი"

შპს აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ
საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული
ცენტრი
მისამართი: ქ.ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. 83ა
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: თიბისი ბანკი
ბ/კ TBCBGE22
ს/კ 212841424
ა/ა GE60TB0311934080100001
დირექტორი:

_____ ანგელინა ორჯონიკიძე

ბ. ს.

სიფილისის RPR დიაგნოსტიკა

სკრინინგ დიაგნოსტიკა სწრაფი მარტივი ტესტით

ნიმუშის შეგროვების, შენახვის და ტრანსპორტირების წესი

ნიმუშის დასახელება - სისხლის შრატი

სიფილისის RPR დიაგნოსტიკისთვის უპირატესია სისხლის შრატის გამოყენება. შრატის მიღება უნდა მოხდეს ვენური სისხლიდან, რომელიც უნდა შეგროვდეს უსაფრთხოების წესების დაცვით დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით.

RPR ტესტ–კომპლექტი იმოქმედებს ვადის ამოწურვამდე, რომელიც მითითებულია კომპლექტზე და მის კომპონენტებზე. შენახვის ვადა არის ბოთლსა და კომპლექტის ეტიკეტზე მითითებული თვის ბოლო დღე. არ გამოიყენოთ რეაგენტები ვადის ამოწურვის შემდეგ.

რეაგენტების შენახვა უნდა მოხდეს 2-8°C–ზე. მაღალი ტემპერატურის მოქმედება თავიდან უნდა იქნას აცილებული. არ დატოვოთ მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ. **არ გაყინოთ არც ერთი რეაგენტი, რადგანაც ეს გამოიწვევს შეუქცევად დაზიანებას!** ტესტ ბარათები არ შეინახოთ მაცივარში. შეინახეთ ოთახის ტემპერატურაზე და არ შეეხოთ თითებით, რადგან ამან შეიძლება სატესტო ზედაპირზე დატოვოს ზეთოვანი ნადები და გამოიწვიოს არასწორი შედეგების მიღება.

ნიმუშის შეგროვება:

ვენური სისხლი (5 მლ ოდენობით) შეაგროვეთ სუფთა (ანტიკოაგულანტის გარეშე), მშრალ სინჯარაში. სინჯარაზე მიუთითეთ თარიღი და პაციენტის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია (სახელი, გვარი, ასაკი).

აღებული მასალა (სისხლი) დააყოვნეთ ოთახის ტემპერატურაზე 20 წუთის განმავლობაში და შედედების შემდეგ დააცენტრიფუგეთ.

გამოყოფილი შრატის 2 მლ გადაიტანეთ ხრახნიანი სახურავის მქონე პოლიპროპილენის სინჯარაში (მაგ. ეპენდორფის სინჯარა). ანალოგიურად, მასზეც მიუთითეთ პაციენტის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია და თარიღი.

fრეაგენტის მომზადება

რეაქციის დაწყებამდე რეაგენტი დააყოვნეთ ოთხის ტემპერატურაზე (20°C-25°C) და ფრთხილად შეანჯღრიეთ. გამოყენების წინ ანტიგენის შემცველი სუსპენზია შეანჯღრიეთ ერთგვაროვანი სითხის მიღებამდე.

მანუალური სლაიდ-მეთოდი

1. მოათავსეთ პაციენტის შრატის ერთი წვეთი (50მკგ) მინის სლაიდზე ან RPR ტესტის ფირფიტაზე. გაშალეთ ისე, რომ მთერი რგოლი დაფაროს.

2. გაშალეთ ნიმუში ტესტ-რგოლის მთელ ზედაპირზე პიპეტის/მომრევის ბრტყელი ბოლოთი.

3. გამანაწილებელი ბოთლი/ნემსის ნაკრების გამოყენებით დააწვეთეთ ერთი თავისუფალი ვარდნის წვეთი (16 მკგ) სატესტო ნიმუშზე. აღარ მოურიოთ.

4. მოახდინეთ ტესტ ფირფიტის როტაცია წუთში 100 ბრუნის სიჩქარით 8 წუთის განმავლობაში მხოლოდ ავტომატურ როტატორზე.

5. ზუსტად 8 წუთის შემდეგ ვიზუალურად შეამოწმეთ შედეგი კარგ სინათლეზე.

შედეგები და ინტერპრეტაცია

ყოველი რეაქციის დროს აუცილებელია დადებითი და უარყოფითი კონტროლების გაშვება. უარყოფითმა კონტროლმა უნდა მოგვცეს უარყოფითი ხოლო, დადებითმა კონტროლმა დადებითი შედეგი 8 წუთის შემდეგ. თუ მიღებულმა კონტროლებმა არ აჩვენეს შესაბამისი შედეგები, რეაქცია არ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად და საჭირო იქნება მისი გამეორება.

ხარისხობრივი მეთოდი

საშუალო და დიდი აგრეგატები - რეაქტიული (დადებითი)

წვრილდისპერსიული აგრეგატები - სუსტი რეაქტიული (სუსტი დადებითი)

არ ჩანს ხილული აგრეგატები, გლუვი ნაცრისფერი შესახედაობის - არარეაქტიული (უარყოფითი)

ნიმუშის შენახვა და ტრანსპორტირება:

მასალის (შრატის) შენახვა შესაძლებელია 2-8 °C-ზე არა უმეტეს 3 დღისა, ხოლო უფრო ხანგრძლივი დაყოვნებისათვის საჭიროა შრატის გაყინვა - 20 °C-ზე 6 კვირის განმავლობაში.

ტესტირებისთვის არ გამოიყენოთ ჰემოლიზური და დაბინძურებული შრატი.

შენიშვნა: შრატი ჰემოლიზურია თუ ჭურჭლის (სინჯარის) მიღმა რომელშიც შრატია მოთავსებული ნაბეჭდი ასოები არ იკითხება ანუ შრატი არის გაუმჭვირვალე.

ნიმუშების ტრანსპორტირებისთვის გამოიყენება ცივი ყუთი.

გონორეის ბაქტერიოლოგიური დიაგნოსტიკა

ნიმუშის აღების, შენახვის და ტრანსპორტირების წესები

ნიმუშის დასახელება **უროგენიტალური ნაცხი**

შენიშვნა:

- ✓ ავადმყოფი არ უნდა იტარებდეს ანტიბიოტიკოთერაპიას მასალის აღებამდე 48-72 საათის განმავლობაში.
- ✓ ქალებში მასალის აღება სასურველია მენსტრუალური ციკლის შუა პერიოდში (თუ დაავადებას არა აქვს მკვეთრი გამოვლინება) ან შემდგომ (თუ პროცესი ნწვავეა).
- ✓ ურეთრიდან ნაცხის აღებამდე პაციენტს არ უნდა ჰქონდეს მოშარდული 2-3 საათის განმავლობაში.
- ✓ სინჯარის ეტიკეტზე აღნიშნული მონაცემები უნდა ეწეროს გარკვევით.

გენიტალური ნაცხის აღება:

1. გაიკეთეთ უტალკო სამედიცინო ხელთათმანები. აიღეთ სტერილური ტამპონი, კარგად გაწმინდეთ ყელის მიდამო ლორწოს, სისხლის, სხვა შიგთავსისაგან და გადააგდეთ.
2. ნახშირიანი სატრანსპორტო ნიადაგიანი სინჯარიდან ამოიღეთ ბამბის ტამპონიანი ჩხირი (ფითხი), მოათავსეთ საშვილოსნოს ყელში ისე, რომ მისი თავი მთლიანად დაიმალოს. ფრთხილად დაატრიალეთ 3-5-ჯერ საათის ისრის მიმართულებით და გამოიღეთ. ერიდეთ საშვილოსნოს ზედაპირთან კონტაქტს. ვაგინალური ნაცხი აიღეთ საშოს უკანა ან გვერდითი თაღიდან.
3. ჩხირი (ფითხი) კვლავ მოათავსეთ სატრანსპორტო ნიადაგიან სინჯარაში და საცობი მჭიდროდ მოარგეთ.
4. სინჯარის ეტიკეტზე აღნიშნეთ პაციენტის სახელი, გვარი, ასაკი, ნიმუშის აღების თარიღი და დრო.

ურეთრის ნაცხის აღება:

1. ნაცხის აღებამდე, კონტამინაციის ალბათობის შესამცირებლად, გარე სასქესო ორგანოებს უნდა ჩაუტარდეს ტუალეტი (ჰიგიენური პროცედურა) სტერილური ტამპონითა და გამოხდილი წყლით.
2. გაიკეთეთ უტალკო სამედიცინო ხელთათმანები. ნახშირიანი სატრანსპორტო ნიადაგიანი სინჯარიდან ამოიღეთ ტამპონიანი ჩხირი (ფითხი), მოათავსეთ ურეთრაში 2-4 სმ სიღრმეზე. ფრთხილად დაატრიალეთ 3-5-ჯერ და გამოიღეთ. ფითხი კვლავ მოათავსეთ სატრანსპორტო ნიადაგში და საცობი მჭიდროდ მოარგეთ.
3. სინჯარის ეტიკეტზე აღნიშნეთ პაციენტის სახელი, გვარი, ასაკი, ნიმუშის აღების თარიღი და დრო.

შენახვა და ტრანსპორტირება:

1. ლაბორატორიაში ნიმუშის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს მაქსიმალურად სწრაფად. დაცული უნდა იყოს ტემპერატურული რეჟიმი (+18 - +37°C).
2. გამოუვალ მდგომარეობაში - თუ ტრანსპორტირება ვერ ხერხდება, სინჯარები ინოკულირებული მასალით შეიძლება შევინახოთ +18 - +37°C--ზე 12-24 სთ -ის განმავლობაში. მასალის გადაცემა არ შეიძლება.

განსახორციელებელი მომსახურების (საკვლევი მასალის აღება/შეგროვება/გამოკვლევა) მოცულობა

დანართი

N	კომპონენტის დასახელება	ქვეკომპონენტის დასახელება	საკვლევი მასალა	თვის განმავლობაში მოსაწოდებელი
1	სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	სიფილისის ეპიდზედამხედველობის ქვეკომპონენტი	სისხლი	
2		გონორეის ეპიდზედამხედველობის ქვეკომპონენტი	ნაცხი	
3	ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	სისხლი	
4		ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	ნახველი	
5		ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	შარდი	
6		ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	ნაცხი ქირურგიული ჭრილობიდან	
7	დიარეული დაავადებების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	მწვავე დიარეა	ფეკალია	
8		ქრონიკული დიარეა	ფეკალია	
9	მენინგოენცეფალიტებისა და ჰემორაგიული ცხელებების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	მენინგოენცეფალიტებისა და ჰემორაგიული ცხელებების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	სისხლი	
10	ჰეპატიტების გავრცელების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	ჰეპატიტების გავრცელების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	სისხლი	

ინფორმაცია შეტყობინების განხორციელების ვადების თაობაზე

N	კომპონენტის დასახელება	ქვეკომპონენტის დასახელება	საკვლევი მასალა	ტრანსპორტირება დაქვემდებარებული საკვლევი მასალა	შენახვის პირობები	აღებული საკვლევი მასალის შეფუთვის პირობები	მასალის აღების თაობაზე შეტობინების გაკეთების დრო	ტელეფონის ნომერი
1	სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	სიფილისის ეპიდზედამხედველობის ქვეკომპონენტი	სისხლი	RPR დადებითი შრატი	ინსტრუქციის შესაბამისად	ინსტრუქციის შესაბამისად	კვირაში ორჯერ (სამშაბათს, ხუთშაბათს)	577135064 599100046
2	სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	გონორეის ეპიდზედამხედველობის ქვეკომპონენტი	ნაცხი	ნაცხი	ინსტრუქციის შესაბამისად	ინსტრუქციის შესაბამისად	აღებისთანავე, მასალის აღება უნდა განხორციელდეს დღის 11-დან 2 საათამდე	577135064 599100046
3	ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	სისხლი	სისხლი	ინსტრუქციის შესაბამისად	ინსტრუქციის შესაბამისად	აღებისთანავე, მასალის აღება უნდა განხორციელდეს დღის 11-დან 2 საათამდე	577135064 599100046
4	ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	ნახველი	ნახველი	ინსტრუქციის შესაბამისად	ინსტრუქციის შესაბამისად	აღებისთანავე, მასალის აღება უნდა განხორციელდეს დღის 11-დან 2 საათამდე	577135064 599100046
5	ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	შარდი	შარდი	ინსტრუქციის შესაბამისად	ინსტრუქციის შესაბამისად	აღებისთანავე, მასალის აღება უნდა განხორციელდეს დღის 11-დან 2 საათამდე	577135064 599100046
6	ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	ნაცხი ქირურგიული ჭრილობიდან	ნაცხი ქირურგიული ჭრილობიდან	ინსტრუქციის შესაბამისად	ინსტრუქციის შესაბამისად	აღებისთანავე, მასალის აღება უნდა განხორციელდეს დღის 11-დან 2 საათამდე	577135064 599100046
7	დიარეული დაავადებების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	მწვავე დიარეა	ფეკალია	ფეკალია	ინსტრუქციის შესაბამისად	ინსტრუქციის შესაბამისად	აღებისთანავე, მასალის აღება უნდა განხორციელდეს დღის 11-დან 2 საათამდე	577135064 599100046
8	დიარეული დაავადებების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	ქრონიკული დიარეა	ფეკალია	ფეკალია	ინსტრუქციის შესაბამისად	ინსტრუქციის შესაბამისად	აღებისთანავე, მასალის აღება უნდა განხორციელდეს დღის 11-დან 2 საათამდე	577135064 599100046
9	მენინგოენცეფალიტებისა და ჰემორაგიული ცხელებების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	მენინგოენცეფალიტებისა და ჰემორაგიული ცხელებების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	სისხლი	სისხლი	ინსტრუქციის შესაბამისად	ინსტრუქციის შესაბამისად	კვირაში ორჯერ (სამშაბათს, ხუთშაბათს)	577135064 599100046
10	ჰეპატიტების გავრცელების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	ჰეპატიტების გავრცელების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი	სისხლი	არ ექვემდებარება ტრანსპორტირებას				577135064 599100046